
ქ. თბილისი, სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ი. გრიშაშვილის ქ. №41 ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ჩასატარებელ საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით

ქ. თბილისი

2019 წელი

ჩვენი საკვლევი ტერიტორია განლაგებულია ისტორიულ უბანში - „ხარფუხში“, ი. გრიშაშვილის ქუჩაზე. სანამ უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის შეფასებასა და რკომენდაციებზე გადავალთ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია ისტორიული ექსკურსი უბნის განვითარებისა და ჩამოყალიბების შესახებ.


მცირე ისტორიული ექსკურსი



თბილისის ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ ზედმიწევნით მოფიქრებულ ერთიან სისტემას, რომელშიც მაქსიმალურად იყო გამოყენებული მთაგორიანი რელიეფის თავისებურებები. ამ სისტემაში მეტად მნიშნელოვანი როლი ენიჭებოდა თაბორის მთაზე განლაგებულ ციხეს, რომელიც თრიალეთის ქედის განშტოებაა თბილისის სამხრეთით. ციხე ფორტიფიკაციული სისტემის ფორპოსტი იყო აღმოსავლეთის მხრიდნ, საიდანაც ტრადიციულად ესხმოდნენ ხოლმე ქალაქს მტრები. იგი «დაკიდული» იყო განჯის გზის თავზე უშუალოდ კალას სიახლოვეს. თაბორის ციხე თავისი არსებობის გრძელ მანძილზე არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა. ის «ქართლის ცხოვრებაშიც» არის მოხსენიებული. უკანასკნელად თაბორის ციხე დაანგრია აღა-მაჰმად-ხანმა და მას შემდეგ იგი აღარ განუახლებიათ. პორუჩიკ ჩუიკოს მოუსწრია მისი ნანგრევებისთვის და დაუტანია თბილისის 1800 წლის გეგმაზე: «Разаренное укрепление Корча-Кала». ”ყორჩი-კალა” დატანილია თბილისის 1809 წლის გეგმაზეც, თუმცა გვიანდელ გეგმებზე იგი უკვე აღარ ჩანს. ციხეში ეკლესია მდგარა, რომელსაც “ღვთის ფერისცვალების” სახელით იხსენიებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ თაბორის მთის სახელწოდების წარმოშობა, ისევე,

როგორც “მთაწმინდა” დაკავშირებულია ქრისტიანულ “წმინდა” ადგილებთან. როგორც ცნობილია იერუსალიმში, თაბორის მთაზე მომხდარა ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთის და ციხეში აგებული ეკლესიის სახელები. ციხის ნაშთები უკვე აღარ ჩანს, მაგრამ 1972 წელს არქეოლოგიური გათხრებისას მიაკვლიეს ციხის კვალს. დღეს ძველი ეკლესიის ადგილზე აგებულია ახალი, გუმბათოვანი ეკლესია (2002-2003 წწ.) და მოქმედებს მონასტერი.





*ხარფუხი - აბანოების უბანსა და ორთაჭალას შორის, თაბორის მთის ძირში, XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა პატარა სოფელი, რომელიც ადრე “სეიდაბადად” იყო წოდებული. უბანს XIX საუკუნიდან “ხარფუხი” დაერქვა. XIX საუკუნის დასაწყისში სოფელში დასახლდნენ ლეკების მიერ დარბეულ სოფელ ჭალასყურიდან გამოხიზნული გლეხები. 1811 წელს ხარფუხი თბილისის მაზრას მიაწერეს. 1819 წელს სამოქალაქო გუბერნატორმა ხოვენმა ოფიციალურად სთხოვა მთავარ მართებელ გენერალ ერმოლოვს ხარფუხის თბილისთან შემოერთება. იგი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ ხარფუხს თავშესაფრად იყენებდნენ ბოროტმოქმედნი, სხვადასხვა ჯურის უპასპორტო საეჭვო ხალხი და საქონლით დატვირთული კონტრაბანდისტები.


საზღვარგარეთიდან შემოსულ კონტრაბანდისტებს თვით ხოვენი წასყდომია ხარფუხში. ერმოლოვი დაეთანხმა ამ თხოვნას და მისი 1819 წლის 15 მარტის ბრძანებით, ხარფუხი ოფიციალურად თბილისის ნაწილად იქცა. ამ დროისათვის ხარფუხის მოსახლეობა სულ 143 კაცს შეადგენდა. მიუხედავად ოფიციალური აქტისა, რამდენიმე ათეული წელი ხარფუხი სოფლად რჩებოდა და მხოლოდ XIX

საუკუნის 60-იან წლებში მკვიდრდება ცხოვრების ქალაქური წესი და სათანადო განაშენიანება. ამ დროს ჩვენი საკვლევი ნაკვეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია

იყო თითქმის ცარიელია. ამ უბანში თათრების სასაფლაოს სიახლოვეს მცირე ნაგები კედელი თუ საკულტო დანიშნულების ქვა იდგა ხატითურთ (ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ქვევით და დასავლეთისკენ, უფრო მთის ძირში). თბილისელების რწმენით, ამ ხატს სურდოს განკურნება შეეძლო და მასთან სურდოშეყრილი ბავშვები მოჰყავდათ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: ”ხარფუხი (ანუ “ხარბუხი”) – ძველებურ სომხურ ენაზე “სურდოს” ნიშნავს”. გადმოცემით ამ ხატის წინაშე საყმაწვილო ჭინჭილების დამტვრევა ითვლებოდა სურდოს განკურნების საშვალებად. მართლაც ხარფუხის თავზე სოფელ შინდისის გზის დასაწყისში, კლდის ქიმზე, დღესაც მოჩანს პაწაწა ნანგრევები, რომელსაც “სურდოს ხატს” ეძახიან (ამ ადგილის ზუსტი მდებარეობა ამჟამად დაფიქსირებული არც არის).


1844 წლის ქალაქის რუკაზე ქალაქის საზღვრები აღმოსავლეთიდან, მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ (ორთაჭალაში) მთავრდებოდა შედარებით დიდი განაშენიანებებით, რომელიც აღნიშნული იყო როგორც "საბაჟო" და "საგუშაგო" ("Разгонный пост"). ამ შენობების ახლოს 1853 წელს ი. გრიშაშვილის ქუჩის სიახლოვეს შემაღლებულ ადგილზე აშენებული იყო წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია**. სწორედ აქ გაჩნდა დასახლება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე იწოდებოდა როგორც "ბერძნული დასახლება" ("Греческая слобода"). აქ აუცილებელია აღინიშნოს "ბერძნის" ქუჩის დასახელების ზოგიერთი ცდომილება. ქალაქის 1902, 1913 და 1924 წლების რუკებზე "ბერძნის" ქუჩა გადიოდა ბერძნული ეკლესიიდან - "ბერძნული მოედნის" ("საბაჟო"-ს გვერძე) გავლით - და მიემართებოდა ზევით ვორონცოვის ქუჩის (დღევანდელი გრიშაშვილისა და ვეზიროვის ქუჩა) პარალელურად.

საპროექტო ობიექტი



უშუალოდ ჩვენი საპორქტო ობოექტი, ისტორიულ ხარფუხში, ი. გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ი. გრიშაშვილის საკმაოდ დიდი ზომის ქუჩა, აბანოთუბნიდან იწყება და თითქმის ორთაჭალამდე გადის. ქუჩა, არასწორი კონფიგურაციის არის და ძირითადათ უბნის არათანაბარ რელიეფს მიუყვება. სწორედ რელიეფს დაქვემდებარების გამო, ის აბანოთუბანთან აღმართს, ხოლო შედარებოთ ზედა მონაკვეთში ვაკე ადგილს ემორჩილება. ქუჩის განაშენიანება ეკლქტურია, რომელიც ძირითადათ XIX საუკუნის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ მასზე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დიდი კონცენტრაცია არ არის, ქუჩა, ტავისი ურბანული ქსოვილის დატვირთვითა და ისტორიული მეხსირებით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უბნის ფორმირებაში.

საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მთავარი და განსაკუთრებული ხიბლი მისი მდებარეობაა. თავად გრიშაშვილის ქუჩის, კონკრეტული მონაკვეთი, საკმაოდ ზედა ნიშნულზე მდებარეობს, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს მტკვრის კალაპოტი და მარცხენა ფერდი. ამას ემატება ჯერ კიდევ შემორჩენილი მწვანე საფარი, და მეტნაკლებად კომფორტული მიკროკლიმატი.



საკვლევი ტერიტორია ი. გრიშაშვილის ქ. №41 ბში მდებარეობს. მცირე ზომის ჩიხი, სწორედ გრიშაშვილის ქუჩიდან შედის, სადაც არასწორი კონფიგურაციის მიწის ნაკვეთია განთავსებული. მასზე ჩიხის მხარეს, მცირე გაბარიტიანი შენობა დგას.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე ზომის ეზო, არათანაბარ რელიეფზე ვითარდება, სადაც ჩიხის მხარეს ორი მცირე ზომის ნაგებობაა განტასვებული. მათგან ერთ-ერთი ორფერდა სახურავითა და ხის შუშაბანდით. ჩიხი, მარცხენა მონაკვეთშიც გრძელდება, სადაც მცირე ეზოში შევდივართ. მასზე ორსართულიანი, ხის შუშაბანდებიანი შენობა იხსნება.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები, ვიზუალური დათვალიერებით მოკლებულნი არიან მხატვრულ თუ არქიტექტურულ გამომსახველობას. მათ მნიშვნელოვანებას სწორედ ურბანული კონტექსტი და უბნის ისტორიული მეხსიერება წარმოადგენს.





ტერიტორიის მნიშვნელოვანებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ უბანში ახალმშენებლობების საკმაოდ დიდი ექსპანსიაა, რაც მიმდებარე განაშენიანებაში საკმაოდ მძლავრი, მასშტაბური მოცულობითი ნაგებობებში ვლინდება.
მოცულობითი ნაგებობები, ფერდზე ვიტარდება, ისე რომ სრულებით არ ხდება გათვალისწინება ტერიტორიის მორფოლოგიისა თუ მისი ლანდშაფტისა.



რეკომენდაციები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობების დემონტაჟი და ახალი მოცულობის განთავსებაა გათვალისწინებული. პროექტორებისას გასააზრებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- უმთავრესად გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა, მისი არათანაბარი რელიეფი. შესაბამისად ნაგებობის პროექტირებისას, რელიეფი უნდა იქნას გამოყენებული დადებითი კუთხით;
- ერტნაირად მნიშვნელოვანი გვეჩვენება როგორც ი. გრიშაშვილი, ასევე ი. ცურტაველის ქუჩაც. შესაბამისად ახალმა ნაგებობამ უნდა გაითვალისწინოს და ითანამშრომლოს ორივე ქუჩასთან;
- ვფიქრობთ მნიშვნელოვანია თავად საპროექტო მონაკვეთის მდებარეობა, ის ჩიხის ბოლოს არის განთავსებული და კეტავს თითქოს მას. შესაბამისად ნაგებობამ არ უნდა "შთანთქოს", "ჩაახშოს" ჩიხის მცირე სივრცე და მიმდებარედ არსებული ძველი ნაგებობებიც;

- პროექტირებისას უმნიშვნელოვანესია შენობის გაბარიტი მასშტაბი. სასურველია რომ სწორება არ იქნას აღებული უსახურ ახალმშენებლობებზე. საპროექტო ტერიტორიის ძალზედ სენსიტიური მდებარეობიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა წერტილებიდან იკითხება, შესაბამსიად დაუშვებელია, მძლავრი მოცულობითი აქცენტს გაჩენა. მოცულობა თავისი ფორმის ორგანულად და უმტივნეულოდ ეწერებოდეს განაშენიანების საერთო ხაზში. მიუხედავად იმისა, რომ მიმდებარე განაშენიანება ძლიერ შეცვლილისა, სასურველია ახალმა ნაგებობებამ სწორება კი არ აიღოს მასზე, არამედ მეტნაკლებად, "დაამშვიდოს" ის;
- უმნიშვნელოვანესია ხედები საპროექტო ტერიტორიაზე, შესაბამისად მოცულობითი გადაწყვეტა უნდა იყოს, არამხოლოდ კონკრეტული განაშენიანების საერთო ხაზში ჩაწერილი, არამედ ხედვის სხვადასხვა რაკურსებსა და წერტილებზე მორგებული;
- საპროექტო ტერიტორია, არამხოლოდ ნაგებობა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას სივრცულ-არქიტექტურული აქცენტები მისსა და მომიჯნავედ არსებულ შენობების გარშემო. უმნიშვნელოვანესია საპროექტო ტერიტორიაზე ეზოს არსებობა. შესაბამისად დაუშვებელია მიწის ნაკვეთის სრულად ათვისება. მოცულობა და ეზო ჰარმონიული ურთიერთთანამშრომლობითი კომპონენტია. შესაბამისად შენარჩუნებულ უნდა იქნას მიწის ნაკვეთისთვის დამახასაითებელი სტრუქტურა;
- რაც შეეხება შენობის საფსადო მხარეს, შენობა ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს ფონური და არა აქტიური მძაფრი მხატვრული თუ არქიეტქტურული გამომსახველობის მქონე ნაგებობა. დაუშვებელია, ფსევდო, ბუტაფორიული პროექტის არსებობა.;
- და ბოლოს შენობა ძალზედ სენსიტიურ, ისტორიული მეხსიერებით დატვირთულ ადგილას მდებარეობს, რაც დახვეწილ გემოვნებასა და ფაქიზ არქიეტქტურულ ტაქტს მოითხოვს, რათა ახალი ნაგებობა ჰარმონიულად, ორგანულად ჩაეწეროს არსებულ განაშენიანებაში.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია